№ 19 25 იანვარი, ხუთშაბათი 1866—1879 25 იანვარი, ხუთშაბათი № 19

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მ ნ., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: ...ებით ასოზე—1 კაპ., ... სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ, პატარათი—1½ კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

**თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი განუცხადებს თავად-აზნაურთ საზოგადოებას, რომელ თფილისის გუბერნიის კეთილშობილთ კენჭით აღმორჩევა დაიწყობა მომავალ მაისის დამდეგში.** (3—2)

### რედაქციისაგან

ზოგიერთი ჩვენი ხელის-მომწერლები, წინა წლების მიხედვით, წელსაც ნახევარი წლის ფულს 4 მანეთს და 4 მანეთსა და ათ შაურს იგზავნებიან და არა ხუთ მანეთს, როგორც რამდენჯერმე იყო გამოცხადებული და ახლაც ვაცხადებთ ხოლმე გაზეთში.

საჭიროდ ვრაცხთ ვაცნობოთ ამ გვარ ხელის-მომწერლებს, რომ ვისაც 4 მანეთი აქვს რედაქციაში შემოტანილი, იმათ მხოლოთ ამ წლის 1 ივნისამდინ მიუვათ გაზეთი და ვისაც 4 მან. და 50 კაპ., იმათ კი ივლისის 15 რიცხვამდინ, თუ დანაკლისს ფულს არ შემოიტანენ.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ბერლინი**, 22 იანვარს. გამოცხადებულია განკარგულება, რომლის ძალითაც ყველამ, ვისაც გერმანიაში წასვლა ჰსურს, ერთის დღით წინათ უნდა წარადგინოს თავის პასპორტი გერმანიის საელჩოში და ამასთანა მოწმობა, რომ უკანასკნელი ოცი დღის განმავალობაში ის არ ყოფილა იმ ადგილებში, საცა ჭირია გავრცელებული.

**პეტერბურღი**, 23 იანვარს. აშტრახნიდამ მოვიდა ამბავი, რომ ვეტლიარკაში ავთმყოფები აღარ არიან; სოფელ სელიტრენაში 6 ავათმყოფი სწევს, 2 ახლად გახდა ავათ და 2 მოკვდა სოფ. ჩორნი იარში ერთი ავათმყოფი რჩება.

აქაურს ოლქის სასამართლოში დაიწყეს იუხანცევის საქმის გარჩევა. სენატმა გადაწყვიტა გაუქმება მოსკოვის სამოსამართლო პალატის განჩინება ადვოკატის ლოხვიცკის თაობაზედ.

**პეტერბურღის ბირჟა**, 23 იანვარს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემის | 95 | 60 |
| მეორე | 94 | 60 |
| მესამესი | 94 | 60 |
| მეოთხესი | 94 | 87 |
| აღმოსავლეთის პირ. | 92 | 25 |
| აღმოსავლეთის მეორე | 91 | 75 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 | 67 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი | „ | „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის | 230 | 75 |
| მეორე სესხის | 231 | 75 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი | 22 | 75 | პენსი |
| ამსტერდამი | 114 | 75 | ცენტი |
| ბერლინი | 193 | „ | პფენიგი |
| პარიჟი | 237 | 50 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი | 2 | 10 | |

### ჟულ გრევი

სტატია მეორე და უკანასკნელი.

ფრანსუა-ჟულ გრევი, მესამე რესპუბლიკის მესამე პრეზიდენტი, დაიბადა ქალაქს მონ-სუ-ვოდრეიში, იურის დეპარტამენტში. პირველ-დაწყებითი სწავლა ამავე ქალაქში მიიღო და შემდეგ შეასრულა კურსი პარიჟში პოლინის სასწავლებელში, 1837 წელს.

თავის ხელობად გრევიმ ადვოკატობა აირჩია და ორის წლის შემდეგ ამ ხელობაში გამოიჩინა თავი, როდესაც დაიცვა სასამართლოს წინაშე ორი ამხანაგი გამოჩენილის რევოლიუციონერის ბარბესისა.

როგორც პოლიტიკური მოქმედი საფრანგეთმა გაიცნო გრევი 1848 წ. თებერვლის რევოლიუციის დროს, როდესაც მაშინდელმა დროებით მმართებლობამ გაგზავნა ის მაღალ თანამდებობის აღმასრულებლად იურის დეპარტამენტში. ორი წლის შემდეგ ხალხის წარმომადგენელთა პალატაში (კრებაში) გრევიმ შეიტანა რამოდენიმე წინადადება, რომლითაც ჰსურდა, რომ პრინცი ნაპოლეონის პრეზიდენტად ამორჩევა დაებრკოლებინა. ამ წინადადებაში თითქო წინასწარმეტყველებდა გრევი, რომ პრინცი ნაპოლეონი ერთ დროს მთელი

## ფელტონი

### ახალციხური ფელტონი

გუშინდელ დღეს ვხედევდი ბატონებს, მდიდარ სომხებს, ვაჭრებს და ხელოსნებს, რომელნიც სწმენდდნენ ძველის წლიურ ანგარიშებს.

დიდი სიმრავლე დაჭერილი იყო დილითგან საღამომდის სამოქალაქო მმართველობაში, ვის დანარჩენ გადასახადს ართმევდნენ კუთვნილის პროცენტითა, ვის რაღაც ბილეთებსა და მოწმობას აძლევდნენ, ვის რა და ვის რა...

დღევანდელი „შვიდფეროზის" დღეც ძველის წლის ნაშთალარი არსება არის, რომელიც ათავებს 1878 წელსა ქრისტეს მოღმა.

ლოცვა წირვების შემდგომ, ატყდა ყოველ ქუჩა უბნებში ძლიერი მოძრაობა მეკეხების, ქართველებისა, მაჰმადიანებისა, ურიებისა და სომხებისა. ყველა თავის საფერ საკადრის მხიარულების ლიმს იჩენდა სახეზედ. იკროდა დაბდაბი ნესტი, მუზიკა, თარი და საზ-ჭიანური. მე საღამომდის ვათვალიერებდი ყოველ საზოგადოების კაცსა შინ თუ გარე, სანამ სოფლის ხალხი გაიკრიბებოდა. ქუჩა ბაზრებში სავატობა არ იყო ვინ გინდა რომ არ ყოფილიყო; იმერელი გურული, აჭარელი, შავშელი, ლივანელი, არტაანელი, ფოცხოველი და სხვ.

ამასობაში გაიკრიბა სოფლის ხალხი შეღამდა ქალი, რძალი, წვრილ-ფეხი და კიდევაც დაბინდდა. ამ დროს ხელ თოფებმა და ტამბაჩებმა დაიწყეს ჩახა-ჩუხი ფიშაკებმა ცაში ფრენა გრიალი. გაიმართა მრავალგან ლხინი, ნადიმი, სიმღერა, ჰარალ-თარალი. ახალციხის დარდიმანდებმა ხმა ამოიღეს გალობას და მრავალჟამიერს გაჰქონდა გუგუნი დიდხანს! სწორე გითხრათ, ჩვეულებითად მე ძლიერ მალე მომწყინდება ამ ნაირი გოგობიჭური გართულება: გონება დამებნია, შესვენება მომინდა, თვალებმა კრუტვა დამიწყეს და შესასვენებლად შინ წაველი. . .

უეცრად ერთმა ვიცხა უცხო სტუმარმა კარი შემოაღო, შემოვიდა ჩემსას და დაიძახა:

— შემოვადგი ფეხი, გწყალობდესთ ღმერთი, ფეხი ჩემი და კვალი ანგელოზისაო!" ჩემმა განუშორებელმა მოყვარემა მადლობა მოახსენა ჩვეულებისაებრ და უჩვენა ჩემი თავი მზად სამსახურზედა, სული ბედაურად, გული ტახტად და სახლ-სამყოფი მკვიდრ მამულად!

მე მის კარის ჭრიალზედ როგორც იყო დიდის გაჭირვებით დაბლეტილი

საფრანგეთის დამორჩილებას და ბატონად გახდომას მოინდომებსო. როგორც მოგეხსენებათ, ეს წინასწარმეტყველება ასრულდა 1851 წელს 2 დეკემბერს, როდესაც რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნაპოლეონმა ჯარების მოსყიდვით, ძალდატანებითა და გაიძვერაობით გარეკა ხალხის წამომადგენლები, დაატუსაღა თავის მოწინააღმდეგე დეპუტატები და სხვა გამოჩენილი პირები, ამ ნაირის საშუალებით ჩაიგდო ხელში მთელი საფრანგეთი და გახდა იმპერატორად.

მას აქეთ 1868 წლამდინ გრევი შეიქნა ისევ უბრალო ადვოკატად.

1868 წელს ის ამოირჩიეს მაშინდელ კანონმდებელ პალატის წევრად და მუდამ ერთად მოქმედებდა იმ რიცხვით მცირე დეპუტატებთან, რომელნიც ნაპოლეონის მმართებლობას ეწინააღმდეგებოდნენ, ამ მმართებლობის ბოროტმოქმედებისა და ათას გვარ ნაკლულევანების გამოაშკარებას ცდილობდნენ.

1870 წელს გრევი იყო პრუსიასთან ომის გამოცხადების წინააღმდეგი; როდესაც სედანის დამარცხების შემდეგ პრუსიელებმა თვითონ იმპერატორი ნაპოლეონი დაატყვევეს და საფრანგეთში რესპუბლიკა გამოცხადდა (3 ენკენისთვეს), გრევიმ არავითარი თანამდებობის მიღება არ ისურვა მაშინდელს დროებით მმართებლობაში.

8 თებერვალს 1871 წელს ის აირჩია იურის დეპარტამენტმა თავის წარმომადგენელად ბორდოს ნაციონალურ კრებაში.

მას აქეთ გრევი, თუ არ ვსცდებით, ათჯერ იყო საფრანგეთის ნაციონალურ კრების თავსმჯდომარედ არჩეული.

მთელი საფრანგეთი პატივს-სცემს ჟულ გრევის. როდესაც ის დაიწყებს რომელსამე საგანზე ლაპარაკს ნაციონალურ კრებაში, მთელი კრება, რაც უნდა აღელვებული იყვეს, სმენად გადაიქცევა, ყველას ჰსურს ერთი სიტყვაც არ გამოეპაროს იმისი.

რატომ არის ეს კაცი ისე პატივცემული? იმიტომ რომ ყველა გრძნობს, რომ ის არასოდეს ხმას არ ამოიღებს, ერთს ნაბიჯსაც არ გადაადგამს იმისთვის, რომ თვითონ რაიმე კერძო სარგებლობა შეიძინოს, იმისთვის, რომ იმას არა აქვს პირადი თავ-მოყვარეობა, ანგარება და პატივ-მოყვარება; ყოველ იმის სიტყვაში, ყოველ იმის ნაბიჯში ამოიკითხავთ, რომ იმის ერთად-ერთი სურვილია—საზოგადო ქვეყნის სამსახური, სიკეთე, სამართლიანად საქმის გადაწყვეტა.

ერთის სიტყვით, გრევი სამაგალითო პატიოსნების კაცია და მიუდგომელი ხასიათისა. თვით იმის მოწინააღმდეგე პარტიები (მონარხიელები), თვით იმის დაუძინებელი მტრები კი პატივს სცემენ იმას, რადგან იმის ცხოვრებაში არ უნახავთ და ვერც ნახვენ რომელსამე უკუღმართს, ბოროტ საქმეს, ანგარებით ანუ სხვა რომელიმე საძრახი მიდრეკილებით მოქმედებას.

ამისთანა კაცი რომ არის ახლა არჩეული საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად, კიდეც იმიტომა ვსთქვით, რომ საფრანგეთის საქმე წაღმა დატრიალდება და იმას არც შინაგანი და არც გარეგანი მტრის აღარ უნდა ეშინოდესმეთქი. არავის არ მისცემს ის ნებას, რომ საფრანგეთის ხალხისაგან დადგენილ კონსტიტუციას, საფრანგეთის თავისუფლებას და კეთილ-დღეობას შეეხოს; იმის მტკიცე ხასიათი, მოუსყიდველი პატიოსნება, ენერგია და რესპუბლიკის მომხრეობა სრულ უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გრევი შეიქნება საფრანგეთის რესპუბლიკისათვის იმათ, რაც ახლად დაარსებულ ამერიკის შტატების რესპუბლიკისათვის იყო ვაშინგტონი.

გრევის ხელში საფრანგეთის რესპუბლიკა სამაგალითო მმართებლობად შეიქნება და სხვა სახელმწიფოები შიშითა და ეჭვით აღარ დაუწყებენ ამ რესპუბლიკას ყურებას...

ს. მ.

# საქართველო

## დღიური

*** ამ უკანასკნელ დღეებში ჩვენს ქალაქში გავრცელდა ხმა, ვითომც ჭირი (ჟამი) ქ. პეტროვსკში გამოჩენილიყოს, ვითომ რამდონიმე კაცი მომკვდარიყოს იქ ამ სატკივრით. სანამ ეს ამბავი ოფიციალურათ არ გამოცხადებულა, რასაკვკრეველია, დასაჯერებელი არ არის; მაგრამ ურიგო არ იქნება, რომ მთავრობამ, ჩვენმა ექიმების საზოგადოებამ და ქალაქის გამგეობამ მიაქციოს ყურადღება იმ გარემოებას, რომ ეს ჭირი, რომელიც ამ ჟამად აშტარნის გუბერნიაში გავრცელებული, შეიძლება ჩვენც გვეწვიოს და გაფრთხილება და თადარიგის მოხდენა ახლავე საჭიროა.

*** ამ თვის 20-ს აქაურს „პირუტყვთა მფარველობის საზოგადოებას“ ჰქონდა საზოგადო კრება, რომელზედაც იყო კენჭის-ყრა საზოგადოების თავსმჯდომარისა და ზოგიერთი სხვა თანამდებობის პირებისა; თავსმჯდომარედ ამოირჩიეს უფ. ანტ. სოლ. ყორლანოვი, გამგეობის წევრების კანდიდატებათ უფ. კლიმოვსკი და სჩუკინი, სეკრეტრის კანდიდატად უფ. ბორტნიკოვი.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ეს „პირუტყვთა მფარველობის საზოგადოება“ ცდილობს უმაღლესის მთავრობისაგან მიიღოს ნე-

---

თვალი ავალე; თვალის შევლება მის სიგმირეზედ და დახუჭვა ერთი მექმნა! რამდენიც შეიძლებოდა ერთის თვალის მოკვრით, იმდენი მისი გმირული შეხედულების ტიპი დამახსოვნდა მე ჩემს გასაცვიფროდ! მის საოცარი ტანის მოტლექნილობა ჭორ-ზღაპრებში თუ წამიკითხია, თვარემ არსად თვალი არ მომიკრია. აბა სად ჩაიტეოდა, ნაბუქოდონოსორის ოქროს ძეგლის ოდენი ვებაერთელა დევგმირი ეტრატის თუ ქაღალდის ფურცლის კეფაში?! ხნით დროული, პირისახე პრტყელი, სრულ ბაგებნაპობიანი, ცხვირ ნისკარტა, შავ თვალებიანი, სპეტაკ თმიანი, წინ წვერი მუხლებამდის ეფინა და უკან გადაშლილი თმა კაჩებზედ სცემდა; თავს ჩაჩქანი ეხურა, ტანს ჯაჭვი, სამხარლილივე სამკლავები ეცვა და მუხლთ საწვივსაბარკულები, მეტად შვენოდა ჯაჭვ ჯავშან ქაფზედ მაზარასავით მოსხმული გრძელი ტყაპუჭი; წელს ხოსტერი ეკრა და მკერდს სპილენძის საგულამფრე ფიცარი; ერთ ხელს ფარი ეკავა, მეორეს შუბი; მხარზედ შვილდი ეგდო და ზურგს ისრით სავსე ხალთაგუდა... ღმერთმა აპრიანა, რომ ახალციხის ძველ ქალაქის ერთ სამაგალითო დიდ დარბაზში მოხდა ამ ჩემი უცხო სტუმრის მობრძანება, თვარემ თუ ახალს მიკიბ- მოკიბულს მრავალ ატაჟებიან შენობაში ყოფილიყო, არც კი დაეტეოდა.

ასე იფიქრეთ, თავ-და-პირველადვე კარებში მოზუკვით შემოსული კერის თავს რომ დაჯდა, ქუდი დარბაზის ერდოში აჰყო და მრთელი სახლის შანდაკი იმის ფეხ-მოკეცილ მსხვილ საჯდომ ბარძაყვებს მოუნდა!

რაც სთხოვა საჭმელ-სასმელი ყველა მიართვა; რა ეჭვია სტუმრის პატივი და კაცთ-მოყვარებაც იმას მოითხოვდა! მართლაც, მესხები ყოველთვის და უფრო საკუთრად შვიდფეროობას, შვიდ ფერ საჭმელ-სასმელს მოამზადებენ ხოლმე მამა-პაპურის ჩვეულებით და ყველა მიმსვლელ-მომსვლელს, ნათესავს, მეზობელს, მეგობარს თუ უცხოთ პატივსცემენ. იჰისთვის დარდიმანდების სატრფიალო და ხელის ხელ საგოგმანებელი ღამე არის წლის შემასრულებელი ღამე!

ვახშმის შემდგომ დაუწყო ტკბილი შექცევით საუბარი ჩემს მოყვარეს; მოუყვა დაწვრილებით მთისა, ბარისა; წყალრღვნიდან მოყოლებული, რაც იცოდა და რაც ენახა, ერთიან ჩამოაკრიალოსნა სამესხეთო საქართველოს თითოეული საუკუნეების დრო განყოფილება, ცხოვრება: სადაურებს სად ეცხოვრათ პირველში, სით წასულიყვნენ მერმე იმათ მაგიერ ვინ მოსულიყო, რა ხანს დაშთენილან, როგორ გადასულან, რიგრიგიდ მოყოლებით მათი ადგილ-სადგომი რომლებს დაშთენიან, რა საქმე გადახდენიან თავს, რით დასუსტებულ დაცემულან და ახლა ვისსაკუთრებაზედ ვინა ზიან!?

ცოტა რამ ჩაფიქრების შემდგომ თვალთ ზე შესტერებით მუხლეზედ ხელი დაიკრა და სთქვა:

„— ვაი შენს მოსხოსა! ჩემს განთქმულს ბრძოლა-შეილდოსნობაში მოდგმას განა ესრეთი უკანასკნელი მდგომარეობა ეკადრება? ერთ დროს დიდტანები, ბაბელონელები, ეგვიპტელები, არიანელები, ფინიკელები, ასირები და პარსები ძრწოდნენ ჩემიანებისაგან და ახლა კი სულ ყველა მტერი თავს წამოსევიან! იაინი კავკასიის იწრო ხევ-

ბა, რომ ყველა იმის წევრებს ჰქონდესთ განსაკუთრებული მენდალი.

*** გაზეთი „კავკაზი“ გვაცნობებს, რომ 30 იანვარს, ე. ი. ა. ს. გრიბოედოვის იუბილეის დღეს, თფილისის სასწავლებლების მოწაფეები განთავისუფლებულნი იქმნებიან სწავლისაგან და ამ ნაირად შეუძლიანთ ამ დღესასწაულში მონაწილეობა მიიღონ.

*** ამ უკანასკნელი სამი დღის განმავალობაში ჩვენს ქალაქში თოვლი ელარ მოდის, მაგრამ რაც მოვიდა, ის ერთობ ნელა დნება, რადგან ღამ-ღამობით ჰყინავს ხოლმე. Iაევ ქალაქის გამგეობისაგან მოველით განკარგულებას, თორემ ჩვენი სახლის პატრონები ხელსაც არ ანძრევენ ქუჩების გასაწმენდათ.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**აჭარიდგან, 15 Iანვარს.** კარგა ხანია გავრცელებული იყო მთელს აჭარაში, განსაკუთრებით ზემო-აჭარას, ხალხის კრება, ურთიერთ შორის დავა, ქურდობა, ცარცვა, ძალადობა და სხვა ამ გვარი უწესოებები. მაგრამ ეხლა შეიკლო, ვგონებ უფრო მისთვის, რომ აქ ცოტა ხანს ცუდი დარები დაიწყო და ამინდს ამათზედ მეტად შესამჩნევი მნიშვნელობა აქვს: ავდრიან დღეებში აქაურები, არა თუ კრებაში და დაშორებულს სოფლებში ვერ ივლიან, თითქმის გარეთაც უძნელდებათ თავიანთ ეზოებში გავლა-გამოვლა. მაგრამ როდესაც კარგი რიგიანი დღეები დადგება, მაშინ საქმეც რომ არ ჰქონდესთ, მაინც შეიკრიბებიან და გამოიგონებენ რასმეს.

აქ ეხლა, წესდების ძალით, გარდა ამ უმთავრესთა საქმეთა: მმართებლობის წინააღმდეგობისათვის, ფოჩტის გაცარცვისა, ტელეგრაფის გაფუჭებისა, სახელმწიფო ქონების განზრახვით დაწვისა და კაცის მოკვლისა, ყოველივე სხვა საქმე მათ შორის იქმნებიან გარჩეულნი და გადაწყვეტილნი მათის ძველისვე მეჯლისებისაგან; მეჯლისის წევრები თითოეულს უჩასტკაში არიან ამორჩეული მცხოვრებთაგან სამ-სამნი პირნი ორ-ორის წლის ვადით; ხოლო მეოთხე ყადი (პროკურორი).

როდესაც რომელსამე სოფელში ვისმეს გაქურდევენ, ანუ სახლს დაუწვავენ, მაშინ ჩვეულებისამებრ, ყოფილის მათში Oსმალოს მმართებლობის დროს, მოეთხოვება იმავე სოფელს მონახვა დამნაშავე პირთა, ანუ გარდახდა დაკარგულის და დამწვარის ნივთის ფასისა, რომელსაც ესენი ასრულებენ უარისუყოფლად.

საკმაოა ხშირად ერთი მარტო ეჭვი სოფლის მცხოვრებლებისა ანუ იმ პირისა, ვისაც დაეწვა, ანუ დაეკარგა რამე და თუ ესენი უჩვენებენ მეჯლისს, მაშინვე დაიჭერენ, შეუყრიან დიდს რკინის ბორკილს, უსმელ-უჭმელად დაატუსაღებენ და არა აქვს საწყალს ტყვეს საშველი, უნდა გადაიხადოს; ამისთანა შევიწროებით ხშირად გამოტყდებიან ხოლმე ბრალდებულნი თავისითვე.

რადგან აქ მთელი სოფელი თავის თავს მოვალედ ხდის მონახოს დამნაშავე, ამისათვის მონდომებულნი არიან მოძებნონ, თორემ თვითონ უნდა გადიხადონ.

ეს საშუალება რომ არ იყოს აქ, იმისთანა მთიანი მაგარი ადგილებია რომ, მეტის-მეტი გასაჭირი იქნება ჯერ მოძებნა დამნაშავეთა და შემდგომ დატუსალება.

სახელმძღვანელოდ ამ მეჯლისებს აქვსთ ამათივე სჯულის კანონიდამ წესდება, რომლის კანონიერად წაყვანა სძევს ყადის პასუხის გებაზედ. ქადი უნდა დაესწროს ყოვლის საქმის გადაწყვეტას, როგორც პროკურორი....

ამათ შეუძლიანთ გაარჩიონ დავა რაოდენისაც უნდა იყოს ფასისა განუსაზღვრელად.

ერთს აქაურს მცხოვრებს Oსმან-აღას ამ იანვრის 8-ს ვილაცა მტერმა დაუწვა სახლი, განზრახვით, ღირებული 400 მანეთამდის. მეორეს დღეს Oსმან-აღის საჩივრით შეიკრიბა მეჯლისი, დაუძახა სოფელს და გამოუცხადა ხალხს, რომ ორის დღის განმავალობაში მონახონ დამნაშავე, ანუ გარდაიხადონ ფასი დამწვარის სახლისა და ნივთებისა. ხალხმა აღუთქვა და მესამე დღეს წარმოადგინეს დამნაშავე ორნი პირნი, რომელნიც იქმნენ მაშინვე დატუსაღებულნი და იქმნებიან დატუსაღებულნი იმ დრომდის, მინემ არ გადაიხდიან იმ ზარალს, რაც მათ მოუხდენია.

საზოგადოდ ამათი კანონი არის: დამნაშავეს დატუსაღების ვადა არა აქვს გადაწყვეტილი: სანამ არ გადაიხდის იქნება ტუსაღად და თუ გადაიხადა, ანუ გადახდის თავდები იშოვა, მაშინვე განათავისუფლებენ.

ლ. ქ—ძე

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

სანამ მარშალი მაკ-მაჰონი პრეზიდენტობას თავს დაანებებდა, მანამ სამინისტროს თავს-მჯდომარეს დიუფორსა და იმას შუა რამდენჯერმე ყოფილა მოლაპარაკება. დიუფორი ბევრი ცდილა, რომ მაკ-მაჰონს ხელი მოეწერა იმ დეკრეტზე, რომლითაც უნდა დაეთხოვნათ თანამდებობიდგან ბონაპარტიელი კამანდი-

ღელეების ყურე-კუთხეებში მიუყ-მოუყრიან და იმათ მხნე გმირ წინაპართ სისხლის ოფლით შეძენილთ მთა-ბრიან ვაკე მინდვრებ-მიწა-წყალზედ კი პარსები თარაქამები, ქურთები, თურქმანები და თათრები გაპარპაშებულან. . . განა არ ჰკმაროდათ მის დროს, რაც წეწვა-გლეჯით ხელი გაჰკრეს, გაიტანეს? რაც წამდა-უწუმ თავსდასხმით ამოხოც-ამოქლიტეს? რაც ძალის-ძალად სჯულიდგან დააბრუნეს? სოფელ-დაბა-ქალაქები გაანადგურეს, გააოხრეს და ნაცარ-მტვერი აადინეს, რომ ახლა მიწა-წყალიც არ დაესაკუთროსთ თავიანთ სამკვიდრო მამულისავით!? ეს ყველა გასწიოს-გაიტანოს კაცმან ღთისაგან მოშვებული მტრისა მტრულად; მაგრამ ამ ურიასომხის ვაჭრების მოყვრულად ჩადენილ ალებ-მიმცემლობის თუ სესხვა საწინდრის მიზეზით ცარცვა-გაცარცვა და უსინიდისო ჩანგვრასა რა უტაროს? ეს იმას ჰგავს სწორედ რომ უთქვამთ: „კალთაში გიზივარ და წვერს გაგლეჯო!“

მერმე აავლ-ჩაავლო თვალი დარბაზს. მიიხედ-მოიხედა, ქვემ-ქვემ გაიღიმა და სთქვა ხელებ შეყრით ცისაკენ:

„— მადლობა ღმერთს და დიდი მადლობა მის დაულევლ მოწყალებას, რომ დიდი ხანია აჭარელები, შავშ-კლარჯები, არტან-კოლელები და თავს-კარელები თვალთ მაკლდა და ახლა იმათაც თქვენთან შემოერთებულს ვხედამ; თქვენ და ისინი ვის გაუყვია? ერთის დედმამის ნაშობნი ღვიძლი ძმანი ხართ, ერთ ხორც-სისხლის, ერთ სულ-გულის და ერთის ენა-ზნეობისანი!?.. მაშ გარდეხვიეთ ერთმანერთს, როგორც დიდისხნით მონატრე-მოსურვებული ძმანი, ამოუკოცნეთ პირი და თვალები, შეეტკბენით გულითა, შეერთდით სულითა და ეგრედ ძმურის დაუშორებელის სიყვარულიანობთ ხელი-ხელს მიცემული ერთად ამოისუნთქ ჩაისუნთქეთ, ერთად ფეხი გარდასდგით და ერთად იმოქმედეთ, რაც თქვენი ძვირფასის სამშობლო მამულის აღმშენებელია, რაც თქვენი სახლობის ცხოვრებაში წარმმატებელია და რაც თქვენი მტერ-მოყვრის შემკავებელია! დაიჭმევნეთ ედემის სამოთხეზედ უკეთესი ბუნებით შემკული მდიდარი ქვეყანა! შეამუშავეთ ბალ-ვენახები, ყანა, ჭალა, გაითბეთ გული საქმე-ყოფაზედ, კაცთ-მოყვარეობაზედ, შეიწყალეთ გაჭირვებული კაცი, გაიკითხეთ გლახაკი, ეცადეთ ავკაცნი კარგ კაცობით შეიძინოთ, გაათავეთ შეუბრალებლობა, ჯავრის ამოყრა, კაცის ჭრა და კვლა, ტაცვა, გლეჯა და პარვა! გაავრცელეთ ყოველგან სასწავლოები, სწავლა, მეცნიერება თქვენს სამშობლოს ტკბილ ენაზედ; ისე რომ ყველა კაცს სიადვილით შეეძლოს ქართული წერვა-კითხვის ცოდნა, ერთმანერთს შორითგან ყოველს თქვენ დარდს, ნაღველს, ჭირს, შეწუხებას და ყოველგვარ თქვენ საჭიროებას რომ შეატყობინებთ, ის ძვირფასად ღირს თქვენთვის; მაგით ბევრს მარცხს, ბევრს ნაკლებულებას და ბევრს ზიანს აიცილებთ თქვენს თავსა და თქვენს სამშობლო ქვეყანასა!

„მაშ გილოცამ ყველას ახალს წელსა, ახალს მშვიდობიან ცხოვრებასა, მშობლური ღმობიერებითა გავედრებ ღმერთსა, დანერგოს თქვენში მარად და ძმური სიყვარული, ყოველ ნაირი პატიოსნება, ერთობა...“

ამ დროს გამომელვიძა და ჩემი გმირი სტუმარიც გაუჩინარდა!

ვინმე მესხი

ქ. ახალციხეს, 3 იანვარს

რები ჯარებისა. მაგ-მაჰონმა გარდაწყვეტით გამოაცხადა თურმე, რომ ის არასოდეს არ დათანხმდება, რომ ამ დეკრეტზე ხელი მოაწეროს.

რადგანაც ეს ამბავი ნაციონალურ კრებას და სენატს შეუტყვიათ, გამოუცხადებიათ, რომ იმათ არა ჰსურთ მაკ-მაჰონმა პრეზიდენტობა მოსტოვოს, ხოლო თუ თვითონ ისურვებს, ამ შემთხვევაში პალატები არა სთხოვენ იმას დარჩენას.

ამის შემდეგ, როგორც ტელეგრამმამ გვაცნობა, მაკ-მაჰონმა მართლაც დაანება თავი პრეზიდენტობას და იმის ნაცვლად აირჩიეს ჟულ გრევი, რომელიც, რასა თქმა უნდა ათას ჯერ უფრო შეეფერება საფრანგეთის ახლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას, ვინემ იმის წინამორბედი.

— „ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტომ“ გვაცნობა ამას წინათ, რომ ნაციონალურს კრებაში ერთმა დეპუტატმა წინადადება შეიტანა იმის თაობაზედ, რომ აპატიონ იმ პოლიტიკურ დამნაშავეთ, რომელთაც 1871 წელს მიიღეს მონაწილეობა პარიჟის კომმუნის არეულობაში. პარიჟის გაზეთებში იწერებიან ახლა, ეს წინადადება ნაციონალურ კრებაში ლუი-ბლანს შეუტანია და სენატში კი ვიქტორ ჰიუგოს. გაზეთებს იმედი აქვთ, რომ ახალი პრეზიდენტი და ახალი სამინისტრო ყურადღებაში მიიღებს ამ წინადადებას და აპატიებს ხსენებულ დამნაშავეებს.

### ინგლისი და ავღანი

არავითარი ახალი ამბავი აღარ ისმის ინგლისისა და ავღანს შუა ბრძოლის თაობაზედ. გაზეთებიდამ სჩანს მხოლოთ, რომ ინგლისის ჯარებს დაუჭერიათ ქალაქი ყანდაარი, ავღანის ჯარი კი გაფანტულია.

თვითონ ავღანის ემირი შირ-ალი, როგორც მოგეხსენებათ, ამ ჟამად რუსეთში (პეტერბურღში) მოდის. წამოსვლის წინეთ იმას გამოუცხადებია კაბულში, რომ ის თანახმაა რუსეთის იმპერატორს ჩააბაროს თავის ქვეყანა. ორენბურღში შირ-ალის დახვდება ხელმწიფე იმპერატორის საკუთარი ადიუტანტი. ემირის ამალას შეადგენს 60 კაცი და 120 ცხენოსანი.

— ამბობენ, ინგლისი აპირებს კუნძულის კვიპროსის ყიდვას ოსმალეთისაგანაო.

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** ამით უცხადებს საყოველთაოდ **ტრაქტირებსა, პასტაიალი დვორის მეპატრონეებსა** და **ხარშოვნიკებს**, რომ **საშუალო აქციზი** იმათ უნდა შემოიტანონ უპრავის კასსაში ორს ვადაში: ერთი ნახევარი მომავალი თებერვლისთვის პირველამდის და მეორე ნახევარიც ამ წლის 1 ივლისამდინ. (3—2)

---

დაიბეჭდა და ისყიდება
საქართველოს
## კალენდარი
ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბააალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთად გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

**ისყიდება** უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

---

უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება ყოველნაირი ქართული წიგნები.

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკკლესიის ქვევით დუქნებში. გარემე აირებს შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани. (5—4)

---

ლექსები
## „სიყვარული“

შედგენილი ანთ. ჯუღელისაგან გამოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვიანის, ვართანოვის, გრიქუროვის და სხვა წიგნის მაღაზიებში და „ივერიის“ რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას, გ. თოფურიძის დუქანში და აბაშის სტანციაზე პ. მელიქოვის დუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და კოსტავას დუქანში.

**ფასი** ორი შაური. ოცს ეგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კოპ. მეტს ვინც იყიდის იმას შვიდ კოპეიკათ.

---

## გასყიდვა
ფას. მოუკლებელად

რადგან წვრილად ვაჭარმა მოვსპეთ და ერთად, ნარდათ ვაჭრობა დავიწყეთ; ამის გამო დანიშნულია **გასყიდვა** იაფფასად მანეთზე 25 კაპეიკის დაკლებით სხვა და სხვა საქონლისა: კრეპი, არდაგანი, მატლასე, რეპსი, ფაი, ყარსი, კრეასე, კაშმირი შავი—75 კაპეიკიდამ 2 მან. 30 კაპ. შავი ალპაგა—35-75 კაპეიკამდინ, მაუდის შალები—3 მან. და 25 კაპ. 7 მან. 37 კაპეიკამდინ, ხავერდის ხალიჩები, პერანგები ტილოსი და სხვ. და სხვ.

**თამამშოვის** ქარვასლაში, ზემო ეტაჟაში, გასტინიცის, „კავკაზის“ პირ-და-პირ, №№ 10 და 11.

მაღაზია **მალაკოვისა**

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 6 |
| სამტრედია | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი | 12 | 13 | | | 3 | | 1 | 69 |
| ყვირილა | 1 | 18 | ღამე. | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

### ფოჩტა

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის კენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ლია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (ხამი მისხალი) | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 52 იანვარს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 70 |
| ფქვილი წითელი | 1 | 60 |
| ქერი ფუთი | 1 | 30 |
| ბამბა ერევნისა, ფუთ. | 7 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი | 8 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 9 | 60 |
| მატყლი თუშური ფუთი | 6 | 90 |
| — თარაქამისა ფუთი | 4 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი | 5 | 70 |
| ქონის სანთელი ფუთი | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 80 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 99 |
| — ცხვრისა, ლიტრა | 1 | 8 |
| სპირტი ვედრო | 4 | 60 |
| შაქარი, გროც. ფუთი | 7 | 40 |
| — ფხვნილი ფუთი | 5 | 60 |
| ყავა გრგვალი, გირვ. | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 12 | 80 |
| თამბაქო, საშუალო ფთ. | 6 | 80 |

### ტფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წინამძღვრიშვილის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

**ორშაბათს:** ვერმიშევი და გარალევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

**სამშაბათს:** ვერმიშევი—შინ. გ. ა. ბ ხუტოვი—საბებო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

**ოთხშაბათი:** ვერმიშევი შინაგანი.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

**პარასკევს:** ვერმიშევი-შინ.გ., ა. ბახუტოვი—საბებო ქალისა და ბავშვების.

**შაბათს:** ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

*Дозволено цензурою. Тифлисъ 24 Генваря 1879 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.